№2411 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე

1. დაევალოს სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს 10 000 (ათი ათასი) ლარის გამოყოფა ა(ა)იპ – შინდისის გმირების მემორიალის ფონდისათვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 400033236) გადასაცემად, 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის საინჟინრო-ქიმიური ასეულის სამხედრო მოსამსახურეთა მემორიალის აგების მიზნით.

2. ეთხოვოს ა(ა)იპ – შინდისის გმირების მემორიალის ფონდს, 2015 წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**